პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 აპრილი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 79 (1950) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 22 აპრილი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების დღეა

## გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ მოძღვრებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის საპირველმაისო მოწოდებებიდან.



თბილისის „დინამოს" კორტებზე გრძელდება ჭაბუკ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი.

გუშინ, დღისით, ერთეულთა მეთექვსმეტედფინალის საგზურებისთვის მებრძოლი ჩვენი რესპუბლიკის ხუთი წარმომადგენლიდან ორმა გამარჯვება მოიპოვა: ეკა ბოკუჩავამ ადვილად სძლია უნგრელ გაბრიელა მოლნარს (6:1, 6:2), ხოლო ალექსანდრე სიმონიანმა დაძაბულ ბრძოლაში მოუგო კუბელ დუვიელ მედინას (6:4, 6:4).

საინტერესო იყო ეკა თოხაძისა და ევა პუკანსკის (უნგრეთი) შეხვედრა, რომელშიც იმარჯვა სტუმარმა — 6:1, 3:6, 6:3. წააგეს აგრეთვე თეა მუჩაიძემ (დონეცკელ ელენა კისლუხასთან — 7:6, 3:6, 2:6) და ნინო წირღვავამ (ლვოველ ალექსანდრა სვირშკივთან—2:6, 2:6).

საღამოს კი კიდევ სამმა ჩვენმა ჩოგბურთელმა მიაღწია გამარჯვებას. დათო კაჭარავამ მოუგო ანდრეი რიბალკოს (კიევი) — 6:2, 6:0, დავით კვარაცხელიამ — სერგეი პოსპელოვს (დნეპროძერჟინსკი) — 6:1, 6:4, ხოლო გიორგი კუპრეიშვილმა — ბლაგოვესტ პეტროვს (ბულგარეთი) — 6:4, 6:4.

გვიან დამთავრდა წყვილთა შეხვედრები.



## ნანატრი ჯილდო

19 აპრილს ოდესაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება საბაიდარო ნიჩბოსნობაში.

...რა ხანია ნიჩბოსნობის ამ სახეობაში ქართველებს საკავშირო სარბიელზე სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც კახა ლომიშვილი 1985 წელს ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა, იმედიანად განვეწყვეთ.

და აი, კახა ოდესიდან ვერცხლის მედლით დაგვიბრუნდა. იმ ეკიპაჟმა, რომლის წევრიც კახა იყო, ოთხადგილიანი ნავით 500 მეტრზე რბოლაში მეორე ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, კახა ბელორუსიელ ანდრეი ზუევთან ერთად მეხუთე ადგილზე გავიდა ორადგილიანი ნავებით 1000 მეტრზე რბოლაში. ამავე დისტანციაზე მეექვსე ადგილი დაიკავა ქართველი ნიჩბოსნის ედუარდ ქამაძემშვილისა და კალინინელი ვ. ...დენისოვის ეკიპაჟმა.

საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა ლომიშვილი და ქამაკაშვილი ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა სიაში შეიყვანეს.

## ჩემპიონი წინ მიიწევს

**საფრანგეთის** ქალაქ იერში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. 6 ტურის შემდეგ 5,5 ქულით დაწინაურდა მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. საერთაშორისო დიდოსტატ ნანა იოსელიანს 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

## პირველი გამარჯვება

**ბრიუსელის** მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე 3 ტური დარჩა. შეჯიბრებას 6,5-6,5 ქულით ლიდერობენ გარი კასპაროვი და ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), მიხეილ ტალსა და ვიქტორ კორჩნოის (შვეიცარია) 5-5 ქულა აქვთ, ანატოლი კარპოვსა და იან ტიმანს (ჰოლანდია) — 4,5-4,5 (1-1), ბენტ ლარსენს (დანია) — 4,5.

VIII ტურში კასპაროვმა შავებით მოუგო ლარსენს, ლიუბოევიჩმა — კორჩნოის. ტალმა ქულა გაიყო ფილიპინელ ეუგენიო ტორესთან, ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა. მან შავი ფიგურებით ბელგიელ რიშარ მიულდერს მოუგო. გადაიდო კარპოვ-ტიმანისა და ჯონ ვან დერ ვილ (ჰოლანდია)-ლუი ვინანსტსის (ბელგია) პარტიები.

## „სწრაფი ჭადრაკის" წყალობით

**როგორც** ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებულ შტატებში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. I-II ადგილები გაიყვეს ამერიკელმა იასერ სეირავანმა და უნგრელმა ანდრაშ ადორიანმა. მათ შორის გაიმართა დამატებითი მატჩი „სწრაფ ჭადრაკში". ორი 30-30-წუთიანი პარტია ყაიმით დამთავრდა (პირველი პარტია სეირავანმა მოიგო, მეორე — ადორიანმა) და საჭირო გახდა კიდევ უფრო „სწრაფი" პარტიების გათამაშება — თითოეულ მხარეს პარტიისთვის 5 წუთი ჰქონდა. ორივე შეხვედრა სეირავანმა მოიგო და ტურნირის გამარჯვებულადაც ის გამოცხადდა.

## ბრძოლა თავიდან იწყება



**თბილისის,** ბაქოს, გროდნოსა და ტალინის ფრენბურთელი ქალები თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მომდევნო ეტაპის ორი საგზურისთვის განაგრძობენ ბრძოლას. მსგავსი ტურნირები კიდევ ხუთ ქალაქში მიმდინარეობს. ამ 24 გუნდიდან 12 საუკეთესო (თითოეული ზონიდან ორ-ორი) უმაღლესი ლიგის 12 გუნდთან ერთად საბჭოთა კავშირის თასის მოსაპოვებლად დასკვნით ორთაბრძოლებს გამართავს.

თბილისის ტურის დაწყებამდე სპეციალისტებს ფავორიტად ბაქოს „ნეფთჩი" მიაჩნდათ. სხვათა შორის, არც თუ უსაფუძვლოდ. აზერბაიჯანელმა ფრენბურთელებმა გაიმარჯვეს წლეულს საბჭოთა კავშირის პირველობის პირველ ლიგაში, გამოცდილებაც მიიღეს, თანაც, გუნდი დაკომპლექტებულია ტანმაღალი, საკმაოდ ძლიერი ფრენბურთელებით. თორმეტი სპორტსმენიდან ხუთი სპორტის ოსტატია, შვიდი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი. მართალია, ბაქოელები თბილისში თავიანთი ლიდერის — ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრის ალა ზაიკინას (იგი ამჟამად ნაკრებთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში გამართულ საერთაშო-

იხ. მე-4 გვ.

## მელოუაიპი - მქიოხველი

● **ამსტერდამი.** საერთაშორისო მარათონი, რომლის ტრასა ქალაქის ქუჩებში გადიოდა, ეთიოპიელმა ბელაინე დინსამომ მოიგო. 42 კმ და 195 მ გამარჯვებულმა 2:12.58-ში დაფარა. ფინიშის ხაზი მას ერიქსონმა (შვეცია) 2:17.54-ში გადაკვეთა. მესამე ადგილი დანიელ სტაიერს ალან ზახარიანსენს ხვდა — 2:18.16. ქალთა შორის გამარჯვება ბელგიელმა ნელი ერტსმა მოიპოვა — 2:51.24.

## სამბო

**სტოვში** (გორკის ოლქი) ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობა სამბოში ჭაბუკთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას შვიდი სპორტსმენი იცავდა (ხუთი — „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ნაკრების, ორი — პროფკავშირების სახელით). მესამე საპრიზო ადგილები მოიპოვეს თბილისელმა ზაქრო ებელაშვილმა (87 კგ წონითი კატეგორია; მწვრთნელები გმირი ხაჩიძე და ზურაბ ებელაშვილი), საგარეჯოელმა ალექსი მირზაშვილმა (81 კგ. მწვრთნელი ბიჭიკო მარიდაშვილი).

## რეგბი

**ხარკოვში** გაიმართა რეგბისტთა საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი. პირველ ლიგაში მოასპარეზე ამ ქალაქის ხატრაქტორო ქარხნის გუნდმა უმასპინძლა ქუთაისის „მშენებელს". შეხვედრა დამთავრდა ქართველი რეგბისტების გამარჯვებით — 31:4.

**კვირას, 26 აპრილს, ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება მასობრივი ლონისძიებები რბენისა და სიარულის მოყვარულთათვის. სტარტზე გამოვა ყველა, ვინც გამაჯანსაღებელ ჯგუფებსა და სპორტულ სექციებში მეცადინეობს. მოეწყობა სპორტული შეჯიბრებები სხვადასხვა დისტანციაზე. თქვენს განკარგულებაშია რამდენიმე დღე. ლონისძიების ჩატარების საერთო ხელმძღვანელობა ადგილობრივ სპორტკომიტეტებს ევალებათ.**



მიმდინარეობს სპორტული ნაგებობებისა და მარტივი ტიპის მოედნების კეთილმოწყობა-დათვალიერების ორთვიური

ლახტის წრეში

# რატომ და რა უფლებით?

სურათები, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, ხადმე მიყრუებულ სოფელში გადაღებული არ გეგონოთ. ეს კალათბურთის მოედანი, მონგრეული,ფარი, გარღვეული ღობე, ნაგავი და აგურის ერთხართულიანი შენობა მართლაც სოფლურად აჭედილი კარით, თბილისში ბაგების სტუდენტთა ქალაქის „ხადარბაზო ბარათია". დიახ, სწორედ „სადარბაზო ბარათი", რადგან ცენტრალური გზიდან სტუდქალაქში გადაუხვევთ თუ არა, უმალვე ხელმარჯვნივ ამ „მშვენიერებას" მოკრავთ თვალს. ამის მერე ცოტას გაივლით და მზერას შეავლებთ მაღლივ, ლამაზ კორპუსებს, კარგად მოვლილ მიდამოს. მიაქციეთ ყურადღება: მარჯვენა ფოტოზე სიღრმეში სამენოვანი აბრაც მოჩანს, რაც უტყუარად ადასტურებს, რომ აქედან იწყება სტუდქალაქი.





პირველად „ლელოს" ბრიგადა სტუდქალაქს გასულ შაბათს ეწვია. შაბათობის დღე იყო, თანაც რესპუბლიკაში სპორტული ნაგებობებისა და მარტივი ტიპის მოედნების კეთილმოწყობა-დათვალიერების ორთვიური მიმდინარეობს და გვეგონა, რომ უყურადღებოდ არც ამ მოედანს დატოვებდნენ, მაგრამ შევცდით. გუშინაც ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც გასულ შაბათს. და აი, იმის ნაცვლად, რომ დღეს კეთილმოწყობილი და თვალგასახარი სტუდენტთა მოედანი წარმოგვედგინა, იძულებული ვართ ისევ კრიტიკული მასალა შემოგთავაზოთ.

ვინ იცის, ყოველდღიურად რამდენი წყვილი თვალი შეჰყურებს ამ ადგილს. ფიქრობ ამას და უმალვე გინდა დასვა შეკითხვა: რატომ, რა უფლებით აქვთ მოძულებული სტუდენტთა ეს ერთადერთი მოედანი ან თვით სტუდენტებს, ან სპორტული კლუბის ხელმძღვანელებს?


ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებული ვართ პასუხს დაველოდოთ.

## უშეღავათო ბრძოლაში

ორ ეტაპად წარიმართა „ბურევესტნიკის" ვაჟთა რესპუბლიკური საბჭოს ღია პირველობა ჭადრაკში.

პირველი ეტაპი ჩატარდა შვეიცარიული სისტემით. მასში მონაწილეობდა 28 მოჭადრაკე, რომელთაგან პირველ შვიდ ადგილზე გასულებმა ბრძოლა მეორე ეტაპზე გააგრძელეს. ამ შვიდეულში მონაწილეობდნენ დავით ლობჟანიძე, გივი გოგიჩაიშვილი, ზაზა ხოფერია, პაატა მესტვირიშვილი, დავით ჯაფარიძე, გია ცქიტიშვილი და ირაკლი ღვამიჩავა. მათ დაემატათ საქართველოს პირველობის პირველი ლიგის გამარჯვებული კახა შალამბერიძე. ამ ეტაპზე ძალაში უკვე ოლიმპიური სისტემა შევიდა და მეტოქენი საბოლოოდ ასე დაწყვილდნენ: შალამბერიძე — ღვამიჩავა, ლობჟანიძე — ცქიტიშვილი, გოგიჩაიშვილი — ჯაფარიძე, ხოფერია — მესტვირიშვილი. რეგლამენტით მეტოქეებს ორი ორსაათიანი პარტია უნდა ეთამაშათ. თუ შეხვედრა ყაიმით დამთავრდებოდა, ორი თხუთმეტწუთიანი პარტია უნდა გათამაშებულიყო.

მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგები ასეთია: შალამბერიძე — ღვამიჩავა — 2:0, ლობჟანიძე — ცქიტიშვილი — 0:2, გოგიჩაიშვილი — ჯაფარიძე — 3:1, ხოფერია — მესტვირიშვილი — 1,5:0,5.

შემდეგ, ნახევარფინალში, ცქიტიშვილმა სძლია შალამბერიძეს — 1,5:0,5, ხოფერიამ — გოგიჩაიშვილს — 2,5:1,5. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ცქიტიშვილი და ხოფერია. რეგლამენტი აქაც იგივე იყო, იმ განსხვავებით, რომ თავდაპირველად მეტოქეებს ოთხი ორსაათიანი პარტია უნდა ეთამაშათ. ეს შეხვედრა უაღრესად საინტერესო გამოდგა. ოთხი ძირითადი პარტია ყაიმით — 2:2 დამთავრდა, პირველი 15-წუთიანი პარტიაც ყაიმით დასრულდა, მეორე 15-წუთიან პარტიაში გია ცქიტიშვილმა გაიმარჯვა და ჩემპიონის სახელიც მოიპოვა.

**ვახილ ვაშაკიძე,**
ოსტატობის კანდიდატი.

საბჭოთა კავშირის პირველობა ბატუტზე ხტომაში

## მსაჯები შეჯიბრებიდან მოხსნეს

წლევანდელი სპორტული სეზონი ჩვენმა ბატუტისტებმა კარგად დაიწყეს. თებერვალში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში წყვილთა შორის რუსუდან ხოფერიამ კრასნოდარელ ირინა სლონოვასთან ერთად გაიმარჯვა (ინდივიდუალურ ხტომებში იგი მესამე ადგილზე გავიდა). ამ შეჯიბრებაზე უფროსებში პირველად სცადა ბედი და არაოფიციალურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა ანა დოლონაძემ. გარდა ამისა, ვაჟებშიც გამოჩნდა ლიდერი. ამიტომაც იწვევდა ინტერესს ახლახან კრასნოდარში ჩატარებული საბჭოთა კავშირის იუნიორთა (1971-74 წწ დაბადებულნი) პირველობა. შესანიშნავად გაართვეს თავი. ნინო შერმადინმა, ანა დოლონაძემ და რუსუდან ხოფერიამ პირველი სამი ადგილი დაიკავეს, მიხეილ პელივანოვმა და ზაზა აბრამიშვილმა შესაბამისად — პირველი და მეხუთე.

მეორე დღეს სავალდებულო პროგრამის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად ფინალს მიღმა დარჩა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ელენა მერკულოვა. პოზიციები დათმეს ჩვენმა გოგონებმაც. შერმადინმა მერვე ადგილზე გადაინაცვლა, ხოფერიამ — მეხუთეზე. მხოლოდ დოლონაძე შერჩა პრიზიორებს (III). ვაჟთა შორის ნული შეფასება მიიღო პელივანოვმა, აბპოვა, შერმადინი კი მეექვსე ადგილზე გავიდა.

სინქრონულ წყვილთა შორის კარგად იასპარეზეს ნინო შერმადინმა და ინა წიკლაურმა. მათ სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობა იგდეს ხელთ, მაგრამ ნახევარფინალში შეცდომები დაუშვეს და შეჯიბრებაში დნეპროპეტროვსკელები ბეზუგლაი და დუგოვა დაწინაურდნენ. შერმადინი და წიკლაური მიუხედავად იმისა, რომ ფინალში კვლავ ძლიერად გამოვიდნენ, მეორე ადგილს დასჯერდნენ.

ვაჟთა შორის პელივანოვ-აბრამიშვილის წყვილმა VI ადგილი დაიკავა.



რუსუდან ხოფერია.



ნინო შერმადინი და ინა წიკლაური.



ანა დოლონაძე.

საქართველოს წარგზავნილები „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ. გუნდის 14 წევრიდან 9 სპორტსმენი ბატუტის ქართული სკოლის აღზრდილი იყო. მათ რიგებში უნდა ყოფილიყო აგრეთვე სინქრონულ წყვილებში რესპუბლიკის ჩემპიონი ლია ბენდიანიშვილი, რომელიც დაშავდა და კრასნოდარში ამის გამო ვერ გაემგზავრა.

შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. უფროსები ოსტატის, ხოლო უმცროსები ოსტატობის კანდიდატის პროგრამით გამოდიოდნენ. პირველობაზე 1973 წელს დაბადებულ ანა დოლონაძეს, როგორც საკავშირო ნაკრების წევრს, ნება დართეს უფროსთა ჯგუფში გამოსულიყო.

პროგრამაში იყო შეჯიბრება სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში (სპორტული ტანვარჯიშის ელემენტები), რასაც ჩვენმა ბატუტისტებმა რამიშვილი ერთი ადგილით დაწინაურდა.

ამავე დღეს დაამთავრეს შეჯიბრება ოსტატობის კანდიდატის პროგრამით მოასპარეზეებმა. აქ მეორე ადგილი დაიკავა ზაზა ხიზანიშვილმა, მეხუთე-მეექვსე ადგილებზე, შესაბამისად, არამ სააკიანი და მიხეილ ნიკოლაიშვილი გავიდნენ.

ფინალში ნებისმიერი პროგრამით კარგად გამოვიდა რუსუდან ხოფერია. მან გოგონებს შორის ყველაზე მაღალი სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშები შეასრულა და მეორე ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა, უკრაინელმა ლენა კალამიეცმა, თუმცა ხოფერიას შესრულებული ვარჯიშები უფრო ეფექტური და დახვეწილი იყო. სამწუხაროდ, მისი და დოლონაძის გამოსვლის შეფასებისას ზოგიერთი მსაჯი სცოდავდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სამი მსაჯი შეჯიბრებიდან მოხსნეს. ანა დოლონაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ყველაზე მაღალი სირთულის კოეფიციენტით შესრულებული ვარჯიშებისთვის დაწესებული ორი პრიზი რუსუდან ხოფერიამ (11,2) და მიხეილ პელივანოვმა (11,3) მიიღეს.

გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თენგიზ ხუდოევმა, ზაურ სულაშვილმა და ევრაპიდ გალჩევმა.

27 აპრილს, საკავშირო თასის გათამაშებაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით, ჩვენი ბატუტისტები რუსუდან ხოფერია, ანა დოლონაძე, ლია ბენდიანიშვილი, მიხეილ პელივანოვი და ზაზა აბრამიშვილი ელგავაში გაემგზავრებიან მფრინავ-კოსმონავტ გიორგი დობროვოლსკის ხსოვნის პრიზის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად და წარმატების შემთხვევაში 25 მაისს ოდესაში ამავე შეჯიბრების საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ.

**ჯემალ კასრაძე.**

## მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით

რუსთავში, სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. ფინალის სამი საგზურისათვის ბრძოლაში 14 ქალაქისა და რაიონის გუნდი ჩაება. საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: აჭარა, ბორჯომი, გარდაბანი. პირად ტურნირში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ოლეგ თავართქილაძემ (აჭარა), კონსტანტინე მულაძემ, დიმიტრი მულაძემ (ორივე — ბორჯომი), ზაზა ედიბერიძემ (ზესტაფონი), ზაზა ლაფერაშვილმა, გენადი ლაფერაშვილმა (ორივე — საგარეჯო), გელა ჩიტრეკაშვილმა (გარდაბანი), ედნარ ჩიტაძემ (აჭარა), ზაზა მაისურაძემ (საგარეჯო), ამირან მიქელაშვილმა (აჭარა), კახაბერ ბერუკაშვილმა, ტარიელ თაბუკაშვილმა (ორივე — რუსთავი).

**რაჟდენ ბაზრიჭიძე.**

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „დაგვეხმარეთ"

„ლელოს" 1987 წლის 1 მარტის ნომერში დაბეჭდილი წერილის („დაგვეხმარეთ") პასუხად გაცნობებთ, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით და მთავარ არქიტექტურულ-დაგეგმარებით სამმართველოსთან შეთანხმებული პროექტით, სანზონის დასახლებაში მდებარე გამოთავისუფლებულ თამბაქოს საწყობს ჩაუტარდება რეკონსტრუქცია.

რაც შეეხება სპორტული მოედნის მოწყობას, სანზონის № 24 და № 25 კორპუსების მახლობლად დაწყებულია სპორტული მოედნების მშენებლობა, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია მეორე კვარტალში.

**კ. გუჯაბიძე,**
აღმასკომის თავმჯდომარე.

## ზამთარი გვეთხოვება...

ბაკურიანში გაიმართა რესპუბლიკის ნორჩ სამთომთხილამურეთა (1974-1976 წლებში დაბადებულნი) პირად-გუნდური პირველობა. კონტა 11 მასპინძლობდა გიგანტურ სლალომსა (ტრასის სიგრძე 1200 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა 250 მეტრი, 38 კარი) და სუპერგიგანტში (შესაბამისად — 1500, 30, 21) მოასპარეზეთ.

ორივე სახეობაში გოგონათა შორის უძლიერესი იყო 12 წლის ბაკურიანელი მოსწავლე, პირველთანრიგოსანი ლელა ოგანეზოვა („დინამო"). მისი შედეგებია 1.00,70 და 1.15,78. მეორე საპრიზო ადგილები ასევე ორივე სახეობაში გამარჯვებულის თანატოლმა, თანაკლასელმა და თანაგუნდელმა ტატიანა აბრამიშვილმა დაისაკუთრა — 1.04,39 და 1.17,49.

გიგანტურ სლალომში მესამე იყო თბილისის ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლე, პირველთანრიგოსანი ნინო ბრეგვაძე (განათლების სამინისტრო) — 1.04,74, ხოლო სუპერგიგანტში — ბაკურიანელი პირველთანრიგოსანი მეგი პაპიკაშვილი („დინამო") — 1.19,03.

ბიჭებშიც ორივე სახეობა ერთმა სპორტსმენმა მოიგო — 12 წლის ბაკურიანელმა მოსწავლემ, პირველთანრიგოსანმა დინამოელმა ავთანდილ ჯანგობეკოვმა — 1.00,73 და 1.16,77. კარგად გამოვიდა 12 წლის პირველთანრიგოსანი, დინამოელი ჯემალ ზეინკლიშვილიც. იგი გიგანტში მეორე იყო (1.01,16), სუპერგიგანტში კი — მესამე (1.19,35). 13 წლის თბილისელმა პეტრე ცისკარიშვილმა (განათლების სამინისტრო) „სუპერში" მეორე შედეგი აჩვენა (1. 18,60), ხოლო გიგანტში — მესამე (1.02,20).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „დინამოს" პირველმა კოლექტივმა.

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
„ლელოს" კორ.

**გამოხმაურება წერილზე „ჩემი ვერის უბანი"**

±: **ვეთანხმები, არ ვეთანხმები**

# უბანიც აღზრდის კერაა

წავიკითხეთ „ლელოს" 19 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ჩემი ვერის უბანი". დიახ, ქალაქის ეზო და უბანი ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც თავისი კოლორიტით, ისე სოციალური ფუნქციითაც. ვეთანხმებით ავტორს, რომ „უბანს, ეზოს, ბავშვის აღზრდაში უდიდესი როლი ეკისრება. ეს არის ბავშვისთვის უახლოესი საზოგადოება. ამიტომ მის სიჯანსაღეზე ზრუნვა ყველას ვალია". ვფიქრობთ, ეს წერილი დიდი და საინტერესო საუბრის წამოწყებას გვავალებს.

ეზოს და უბნის თბილისურ ტრადიციებში ბევრი რამ იყო ისეთი, რაც აღზრდაში ოჯახის, სკოლის თავისებურ შემწედ გვევლინებოდა. ბავშვებიც ზრდიან ერთმანეთს. აი, რატომ არის, რომ ეზო და უბანი ყველას საზრუნავია. თუ ამ თემაზე საუბარში ჩაებმებიან პედაგოგები, ფსიქოლოგები, მშობლები, კომკავშირის, სპორტისა და მილიციის მუშაკები, ვფიქრობთ, უთუოდ გამოინახება საცხოვრებელ ადგილებში მოზარდებთან მუშაობის გაუმჯობესების გზები, გამოიკვეთება არსებული შესაძლებლობების უკეთ გამოყენების მიმართულება. კარგი იქნება, თუ სპორტული კლუბების მუშაობას გამოვაცოცხლებთ და სიტყვიდან საქმეზე გადავალთ. ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, ამ თემაზე ღირს მსჯელობა.

**ნოდარ საყვარელიძე,**
**რეზო კაკაბაძე,**
**თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლები.**

# რატომ ვაიდეალებთ?

წერილის ავტორი მართალია იმაში, რომ თბილისური უბანი, ამ შემთხვევაში — ვერის უბანი, თავისებური სკოლა იყო ახალგაზრდა თაობისათვის, უფროსებს მუდამ მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ მოზარდები, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ახალგაზრდა გზას არ ასცდენოდა. უბანს, შემიძლია თამამად ვთქვა, თავისი დაუწერელი კანონებიც ჰქონდა, რომელთა პატივისცემა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. იყვნენ გამორჩეული პიროვნებებიც, რომლებიც რაინდული, მართლაც მისაბაძი ცხოვრების წესით კარგ მაგალითს აძლევდნენ მოზარდებს, მაგრამ მერე ზოგიერთმა მათგანმა თვითონ შეიცვალა ცხოვრების წესი. ამიტომ, როცა კონკრეტულ ფაქტებზე ვწერთ, იდეალურ ფერებში არ უნდა წარმოვიდგინოთ ის, რაც იყო. პირდაპირ ვეტყვით: ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ავტორს დღევანდელობისა არაფერი მოსწონს. ვერ დავეთანხმები კიმი ალიაშვილს, რომ თბილისურ უბნებში, კერძოდ, თუნდაც ვერის უბანში, ახალგაზრდებს კარგი და რაინდული აღარაფერი შემორჩენოდეთ. ავტორი უნდა მიმიხვდეს იმასაც, რომ ძველ „კარგ ბიჭებსა" და ახლანდელ „კარგ სპეციალისტებს" შორის ცხოვრების დიდი გზა ძევს, რომელიც ალბათ ისეა დაშორებული ერთმანეთს, როგორც თბილისის ძველი და ახალი უბნების იერსახე. დროს თავისი კორექტივები შეაქვს ცხოვრებაში, ასე რომ, ის კარგიც უნდა დავინახოთ, რაც დღეს არის, მაშინ წარსულის ხელაღებით გაიდეალების სურვილიც შეიძლება აღარ გაჩნდეს.

**ბაგრატ სულხანიშვილი,**
**პენსიონერი.**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი ტანვარჯიშში**

# მეორედან მეექვსე ადგილზე

**ჩელიაბინსკი.** როგორც ვიუწყებოდით, ტანმოვარჯიშე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში ფინალური შეჯიბრების წინ დაწინაურებულთა შორის იყვნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ვ. მოგილნი და თბილისელი ვ. გოგოლაძე (ქართველი სპორტსმენი ლიდერს მხოლოდ 0,45 ქულით ჩამორჩებოდა).

19 აპრილს გაიმართა ფინალური გამოსვლები, რომლებმაც ლიდერთა განლაგებაში არსებითი ცვლილებები შეიტანა. დასკვნით ნაწილში ვ. გოგოლაძე და რუსეთის ფედერაციის მეორე წარმომადგენელი ვ. არტიომოვი შედარებით სუსტად გამოვიდნენ, რამაც მათი სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად შეარყია. ხტომებში წაიბორძიკა ვ. მოგილნიმაც და დაბალი შეფასება (8,8 ქულა) მიიღო.

საბოლოოდ მრავალჭიდში (სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის ნახევარჯამი და ფინალის შეფასება) პირველი ადგილი და აბსოლუტური ჩემპიონის სახელი ყაზახეთის გუნდის წევრმა ვ. ლიუკინმა დაისაკუთრა—115,1 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა ვ. მოგილნი — 114,975 ქულა, მესამეზე — უკრაინელი გ. ზადოროჟნი — 114,225 ქულა. ვ. გოგოლაძე 113,4 ქულით მეექვსე ადგილზე დარჩა.

ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი ლენინგრადელი ე. შუშუნოვა გახდა — 77,95 ქულა. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ: ს. ბაიტოვას (ბელორუსია) — 77,375 და ა. პრიახინას (მოსკოვი)—77,325.

**მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში**

# დამაჯერებელი სტარტი

**ჰოკეისტთა** მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ტურის ცენტრალური მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდების შეხვედრა იყო. დასაწყისში ჩეხებმა საგრძნობ უპირატესობას მიაღწიეს და სამი „მშრალი" გოლი გაიტანეს. მეორე და მესამე პერიოდებში შვედები უფრო აქტიურად და ენერგიულად უტევდნენ მეტოქის კარს, მაგრამ მხოლოდ ორი გოლის გაქვითვა შესძლეს. გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 3:2.

საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს ჰოკეისტთა შეხვედრაში ბრძოლა ფაქტიურად არც ყოფილა. საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა უდავო იყო, რაც ანგარიშიდანაც კარგად ჩანს — 11:2.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ფინეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების მატჩი. გერმანელებმა აჯობეს საკმაოდ ძლიერ მეტოქეს — 3:1.

კანადისა და შვეიცარიის სპორტსმენთა შეხვედრაში უპირატესობას, როგორც მოსალოდნელი იყო, კანადელებმა მიაღწიეს — 6:1.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 31-7 | 6 |
| კანადა | 3 | 2 | 1 | 0 | 10-3 | 5 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 2 | 1 | 0 | 9-5 | 5 |
| შვეცია | 3 | 2 | 0 | 1 | 11-5 | 4 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-10 | 2 |
| გფრ | 3 | 1 | 0 | 2 | 3-11 | 2 |
| შვეიცარია | 3 | 0 | 0 | 3 | 8-22 | 0 |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 5-20 | 0 |

**საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში**



# ლიდერები და აუტსაიდერები

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეხუთე და მეექვსე ტურების მატჩები.

**18 აპრილი. „დინამო" (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 78:77 (45:38). მსაჯები: რ. გოგელია და ა. ქილიტაური, კომისარი — მ. კეკელიძე (ყველა — თბილისი).**

**„დინამო":** გეგეშიძე (38), ქორფაშვილი (17), მოველიძე (10), დაუშვილი (8), ი. ბაქრაძე (3), ცაგარეიშვილი (2), ზახაროვი, ა. ბაქრაძე.

**უნივერსიტეტი:** ბოროდაჩოვი (29), ნათობიძე (28), ტალაბაძე (8), ლომიძე (7), დონაძე (3), კვინიკაძე (2).

**19 აპრილი. „დინამო" (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 69:85 (36:46), მსაჯები: რ. გოგელია და ა. ქილიტაური, კომისარი — მ. კეკელიძე (ყველა — თბილისი).**

**„დინამო":** გეგეშიძე (24), დაუშვილი (10), ი. ბაქრაძე (9), მოველიძე (8), ქორფაშვილი (7), ცაგარეიშვილი (6), აბელოვი (3), გაბრიჩიძე (2).

**უნივერსიტეტი:** ბოროდაჩოვი (27), ნათობიძე (20), ლომიძე (16), ხუხაშვილი (6), კვინიკაძე (5), დონაძე (4), დვალი (4), ტალაბაძე (3).

ნორჩ დინამოელთა გამარჯვება ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან მეხუთე ტურის მთავარ სენსაციად უნდა მივიჩნიოთ. ამ შეხვედრაში „დინამო" მართლაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მეორე დღეს კი უნივერსიტეტის გუნდმა დამაჯერებელი რევანში აიღო — მეტოქე 16 ქულით დაამარცხა.

• • •

**18 აპრილი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ქუთაისი 84:73 (34:39). მსაჯები: რ. გოგელია და ზ. დიდბარიძე, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (18), ჩერქეზიშვილი (18), ტომარაძე (16), კობეშავიძე (15), დათიკაშვილი (10), აბულაძე (5), დადიანი (2), მაისურაძე.

**ქუთაისი:** კორძაძე (17), ნაცვლიშვილი (16), ვაშაკიძე (13), წულაძე (13), ხუჯაძე (10), კანდელაკი (4), ნადირაძე.

**19 აპრილი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ქუთაისი 100:71 (54:37). მსაჯები: გ. ოსიაშვილი და ზ. დიდბარიძე, კომისარი — მ. ბაგრატიონი (ყველა — თბილისი).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (22), ჩერქეზიშვილი (19), დათიკაშვილი (10), დადიანი (10), ფერიაშვილი (9), კობეშავიძე (9), ტომარაძე (8), აბულაძე (7), ჩაჩანიძე (6).

**ქუთაისი:** ვაშაკიძე (13), ანდღულაძე (13), კორძაძე (12), წულაძე (12), ნაცვლიშვილი (11), გუბელაძე (6), კანდელაკი (2), ნადირაძე (2), ხუჯაძე.

ქუთაისის გუნდმა, რომელიც თავისი ლიდერის გოქსაძის გარეშე თამაშობს (იგი წესრიგის დარღვევისთვის დისკვალიფიცირებულია), მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველი მატჩის პირველ ტაიმში გაუწია. სტუდენტებმა ორივე შეხვედრა მოიგეს და ქვეჯგუფში ლიდერის პოზიცია შეინარჩუნეს.

• • •

**18 აპრილი. „სინათლე" (თბილისი) — ბათუმი 106:88 (57:48). მსაჯები: გ. ოსიაშვილი და ზ. დიდბარიძე, კომისარი — ლ. ფალავანდიშვილი (ყველა — თბილისი).**

**„სინათლე":** მეცხოვრიშვილი (26), ლონდაძე (23), ქორქია (19), სინჯარაძე (19), შავლოხოვი (14), ჩაჩხიანი (5).

**ბათუმი:** ემირიძე (27), ლოლიშვილი (27), შერვაშიძე (13), მეტრეველი (5), ჟღენტი (5), ვიშნიაკოვი (4), დიხამიძე (2), ხელაძე, ბარამიძე.

**19 აპრილი. „სინათლე" (თბილისი) — ბათუმი 105:88 (43:42). მსაჯები: რ. გოგელია და გ. მოლოდინაშვილი, კომისარი — ლ. ფალავანდიშვილი (ყველა — თბილისი).**

**„სინათლე":** ქორქია (30), ჩაჩხიანი (23), ლონდაძე (21), სინჯარაძე (12), ჯორჯიკია (11), შავლოხოვი (8).

**ბათუმი:** ემირიძე (32), ლოლიშვილი (25), შევცოვი (12), ჟღენტი (6), ვიშნიაკოვი (6), შერვაშიძე (4), მეტრეველი (3), დიხამიძე.

„სინათლის" შემადგენლობაში არ გამოდიოდა ტრავმირებული გურასპაული და მაინც, თბილისელებმა ორთავე შეხვედრაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. ბათუმელთაგან ყველაზე აქტიური კალათბურთელი ემირიძე იყო, რომელმაც თავის გუნდს ორ მატჩში 58 ქულა შესძინა.

• • •

**18 აპრილი. თელავი — „მართვე" (თბილისი) 84:99 (39:49). მსაჯები: რ. ხომერიკი და ა. როსტომაშვილი, კომისარი — ლ. ჩხიკვაძე (ყველა— თბილისი).**

**თელავი:** ჰეიშვილი (27), ბერუაშვილი (27), ხუხაშვილი (8), ბოლქვაძე (8), უძილაური (7), ვარდიაშვილი (5), დალელიშვილი (2), მაისურაძე, წიქარიშვილი.

**„მართვე":** ღლონტი (20), გ. ქართველიშვილი (16), ტურაშვილი (16), ცხვედიანი (13), რევაზიშვილი (10), შენგელია (10), ორმოცაძე (8), ახვლედიანი (4), უსტიაშვილი (2), კ. ქართველიშვილი, შარაშენიძე.

**19 აპრილი. თელავი — „მართვე" (თბილისი) 106:127 (47:60). მსაჯები: რ. ხომერიკი და ა. როსტომაშვილი, კომისარი — ლ. ჩხიკვაძე (ყველა — თბილისი).**

**თელავი:** ბერუაშვილი (28), უძილაური (26), ტუხაშვილი (16), დალელიშვილი (13), ჰეიშვილი (9), ბოლქვაძე (7), ვარდიაშვილი (7), სულხანიშვილი, წიქარიშვილი, მაისურაძე.

**„მართვე":** ღლონტი (38), გ. ქართველიშვილი (22), ცხვედიანი (18), შენგელია (16), კ. ქართველიშვილი (12), უსტიაშვილი (8), ტურაშვილი (7), ორმოცაძე (6), ახვლედიანი, რევაზიშვილი, შარაშენიძე.

„მართვეს" კალათბურთელებმა ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგეს და საგრძნობლად გაიუმჯობესეს ფინალში გასვლის შანსები. თელაველებმა უკეთ ჩაატარეს პირველი მატჩი, თუმცა დამარცხებას ვერც აქ გადაურჩნენ.

• • •

**18 აპრილი. გორი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 78:100 (41:50). მსაჯები: ზ. აბაშიძე (სამტრედია) და ი. ჩხარტიშვილი (ქუთაისი). კომისარი — გ. ხვანიძე (თბილისი).**

**გორი:** სამხარაძე (20), ზამთარაძე (20), ინაური (11), კოტრიკაძე (8), მჭედლიძე (6), სულხანიშვილი (4), ჩხეტიანი (4), ონიანი (3), რუსიაშვილი (2).

**სპი:** გათენაშვილი (12), ზ. ცაგარეიშვილი (19), გოგელია (10), გაბრიჩიძე (9), პეტრიაშვილი (9), ქამუშაძე (4), ვაშაკიძე (4), მ. ცაგარეიშვილი (3).

**19 აპრილი. გორი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი 74:84 (35:41). მსაჯები: ზ. აბაშიძე (სამტრედია) და ი. ჩხარტიშვილი (ქუთაისი), კომისარი — ტ. ჯაფარიძე (წულუკიძე).**

**გორი:** სამხარაძე (23), ზამთარაძე (16), ინაური (14), კოტრიკაძე (7), სულხანიშვილი (7), მჭედლიძე (4), რუსიაშვილი (3).

**სპი:** ჯამარჯიშვილი (22), გაბრიჩიძე (20), ზ. ცაგარეიშვილი (17), პეტრიაშვილი (14), ვაშაკიძე (8), მ. ცაგარეიშვილი (3), წურწუმია, ქამუშაძე, ინწკირველი, გოგელია.

პირველ დღეს მატჩის საუკეთესო მოთამაშე დ. გიორგობიანი იყო, რომელიც ამ ჩემპიონატში შესაშური შედეგიანობით გამოირჩევა (18 აპრილის შეხვედრაში მან თავის კოლექტივს 42 ქულა შესძინა). მეორე დღეს ტრავმის გამო იგი არ თამაშობდა, მაგრამ გუნდმა მაინც წარმატებას მიაღწია.

• • •

**18 აპრილი. სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი)— რუსთავი 93:76 (37:28). მსაჯები: ვ. გოლოვანოვი (თბილისი) და ი. მელაძე (ქუთაისი). კომისარი — ა. მეხხი (თბილისი).**

**სოხუმი:** ჯგერენაია (25), სულავა (21), კ. ბალათურია (14), სუშენკო (12), ჰითავა (10), ზანთარია (5), ჩუბინიძე (4), პირველი (2), მ. ბალათურია, მატუა, მოსკალენკო.

**რუსთავი:** ქობელაძე (20), კეჰაყმაძე (19), გაჩეჩილაძე (17), ხმელიძე (9), ლომიძე (6), აბაშიძე (3), ჰანტურიძე (2), პაპუაშვილი, ბარამიძე, აბზიანიძე, გავაშელიშვილი.

**19 აპრილი. სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი) — რუსთავი 100:92 (45:34). მსაჯები: ვ. გოლოვანოვი (თბილისი) და ი. მელაძე (ქუთაისი), კომისარი — ა. მეხხი (თბილისი).**

**სოხუმი:** კ. ბალათურია (34), ჰითავა (19), პირველი (15), სულავა (14), ჯგერენაია (14), ზანთარია (4), მ. ბალათურია, მატუა, მოსკალენკო, ჩუბინიძე, სუშენკო.

**რუსთავი:** კეჰაყმაძე (24), გაჩეჩილაძე (18), აბაშიძე (18), ჰანტურიძე (13), ქობელაძე (13), ლომიძე (4), პაპუაშვილი (2), ხმელიძე, ბარამიძე, გავაშელიშვილი.

სოხუმელმა კალათბურთელებმა პირველი შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარეს. მათი უპირატესობა მეორე მატჩშიც შესამჩნევი იყო, თუმცა რუსთაველებმა ამჯერად მეტოქეს უფრო შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს.

**(მასალები მოამზადა ჯამლეტ ხუხაშვილმა).**

• • •

**ცხრილი კომენტარებით**

**კალათბურთელთა** რესპუბლიკურ ჩემპიონატში დაუმარცხებლად მხოლოდ ერთი გუნდი იბრძვის — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი, რომელმაც ზედიზედ ექვსი შეხვედრა მოიგო. პირველ ქვეჯგუფში ფინალური ტურნირის საგზურების მოპოვების შანსები კიდევ სამ კოლექტივს — უნივერსიტეტის, „დინამოს" და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტს აქვს.

მეორე ქვეჯგუფში სიტუაცია მეტ-ნაკლებად გარკვეულია. აქაც ფინალში გასვლაზე პრეტენზიას თბილისის სამი გუნდი — სკიფ-ი, „სინათლე" და „მართვე" აცხადებს. ჯერჯერობით არც ერთი გამარჯვება არა აქვს ბათუმის კალათბურთელთა კოლექტივს, მაგრამ ამ გუნდს შინ ჯერ არ უთამაშია — ყველა შეხვედრა გასვლითი ჰქონდა.

ექვსი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილები ასე გამოიყურება:

**I ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სპი (თბ.) | 6 | 6 | 0 | 579-451 | 12 |
| თსუ (თბ.) | 6 | 4 | 2 | 582-472 | 10 |
| სოხუმი | 6 | 3 | 3 | 519-532 | 9 |
| „დინამო" (თბ.) | 6 | 3 | 3 | 489-462 | 9 |
| გორი | 6 | 1 | 5 | 468-514 | 7 |
| რუსთავი | 6 | 1 | 5 | 450-556 | 7 |

**II ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სკიფ (თბ.) | 6 | 5 | 1 | 517-488 | 11 |
| „სინათლე" (თბ.) | 6 | 5 | 1 | 586-536 | 11 |
| „მართვე" (თბ.) | 6 | 4 | 2 | 547-497 | 10 |
| ქუთაისი | 6 | 2 | 4 | 481-489 | 8 |
| თელავი | 6 | 2 | 4 | 541-599 | 8 |
| ბათუმი | 6 | 0 | 6 | 447-510 | 6 |

# მისამართი შეიცვალა

**25 და 26 აპრილს** თბილისში კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი ტურის ოთხ-ოთხი მატჩი გაიმართება. ყველა შეხვედრა ლენინის სახელობის დარბაზში მოეწყობა. მატჩების კალენდარი ასითია:

**25 აპრილი**

ფიზკულტურის ინსტიტუტი — თელავი — 15.00
უნივერსიტეტი — რუსთავი — 16.30
„სინათლე" — ქუთაისი — 18.00
„დინამო" — პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 19.30

**26 აპრილი**

ფიზკულტურის ინსტიტუტი — თელავი — 11.00
უნივერსიტეტი — რუსთავი — 12.30
„დინამო" — პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 14.00
„სინათლე" — ქუთაისი — 15.30

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის საკლუბო ტურნირები

# კიევის „დინამოს" მეტოქე

**ფეხბურთის** მოყვარულები დიდი ინტერესით მოველით ევროპის ჩემპიონთა თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩს, რომელიც დღეს გაიმართება კიევში ადგილობრივ „დინამოსა" და პორტუგალიის „პორტოს" შორის.

პირველი შეხვედრა პორტუგალიელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 2:1 მოიგეს. მიუხედავად ამისა, საკმარისია კიეველებმა საპასუხო მატჩი ანგარიშით 1:0 მოიგონ, რომ ორი შეხვედრის ჯამში საერთო ანგარიში იქნება 2:2, ქალაქ პორტუს „ანტეშის" სტადიონზე გატანილი ბურთი კი ჩვენს გუნდს უპირატესობას მიანიჭებს და ფინალშიც ის გავა.

პორტუგალიის საფეხბურთო წრეები თავიანთ შეშფოთებას არ მალავენ, მაგრამ ერთხმად აღნიშნავენ, რომ „პორტოს" ფეხბურთელები არასოდეს ყოფილან ისე მობილიზებულნი, როგორც ახლა და არ აპირებენ იმ ერთგოლიანი უპირატესობის დაკარგვას. „პორტომ" ბოლო ხანებში ორი მატჩი ჩაატარა, ერთი — ჩემპიონატში, მეორე — თასზე და ორივე დიდი ანგარიშით მოიგო — 5:0, 5:0 და ორივე ამ შეხვედრაში მეტოქეებს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გუნდის უცხოელი ფეხბურთელები — ალჟირელი მაჯერი და ბრაზილიელი ჟუარი.

კიევში გამგზავრების წინ „პორტოს" მწვრთნელს არტურ ჟორჟის მოსვენება არ ჰქონდა კორესპონდენტებისგან, მწვრთნელი ცდილობს არ დაკარგოს ოპტიმიზმი, კერძოდ, „ეშპრესის" წარმომადგენელთან საუბარში მან განაცხადა, რომ კიევის „დინამო" აუცილებლად შემტევ ტაქტიკას აირჩევს, ხოლო მისი გუნდის უმთავრესი ამოცანაა საიმედო დაცვა და ხშირი კონტრშეტევები, სადაც თავი უნდა გამოიჩინონ ფუტრემ, გომეშმა და ჟუარიმ.

**დღეს ცენტრალური ტელევიზიით ვნახავთ ევროპის ჩემპიონთა თასის ამ მეტად საინტერესო მატჩის რეპორტაჟს. პირველ ტაიმს I პროგრამით გადასცემენ 21 საათსა და 15 წუთიდან თბილისის დროით, ხოლო მეორე ტაიმს — პროგრამა „ვრემიას" დამთავრების შემდეგ.**

# სტატისტიკოსის ბლოკნოტში

● **სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩი ერევანში, ადგილობრივ „არარატთან" თბილისის „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: აბუსერიძე, ფირცხალავა, ცვეიბა, სვანაძე, მალანია, გოგრიჭიანი, აფციაური, ჟორდანია, ქეცბაია (რევიშვილი 46), გურული, ბიგვავა (ფანცულაია, 46). გააფრთხილეს ა. ცვეიბა.

● **ბაქოს** „ნეფთჩისთან" ლანჩხუთის „გურიის" შემადგენლობაში გამოდიოდნენ: იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი (ბონდარუკი, 80), ტ. კაპანაძე, გოგიჩაიშვილი, ა. კაპანაძე, ფრიდონაშვილი, მეგრელაძე (ჯიშკარიანი, 46).

● **ქუიბიშევის** „კრილია სოვეტოვისა" და ბათუმის „დინამოს" კალენდარულ მატჩში (I ლიგა) გააფრთხილეს ბათუმელი ფეხბურთელი გ. ზედანია.

● **სსრ კავშირისა** და შვეციის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში, რომელიც თბილისში გაიმართა, შვედების კარში ბურთი საკუთარმა მცველმა ლენმა გაიტანა.

# ბრძოლა თავიდან იწყება

დასასრული

რისო ტურნირში მონაწილეობს) გარეშე ჩამოვიდნენ, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია — პირველი წრის შეხვედრებში იოლად დაამარცხეს გროდნოელები (3:0), ტალინელები (3:1), თბილისელები (3:1) და საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე მონაწილეობის უფლება თითქმის გაინაღდეს. მეორე საგზურის პრეტენდენტი ჯერჯერობით არ ჩანს. საქმე ის არის, რომ დანარჩენმა სამმა კოლექტივმა პირველი წრის შემდეგ უპირატესობას ვერ მიაღწია — სამივეს თითო მოგება აქვს. მეორე საგზურის პრეტენდენტად მიჩნეული პირველი ლიგის ბინადარი, ტალინის „კალევი" პირველსავე ტურში დამარცხდა მასპინძლებთან — 2:3, შემდეგ „ნეფთჩისთან" წააგო. გუნდმა ჯავრი გროდნოს „კომუნალნიკზე" იყარა: — 3:0 (15:6, 15:2, 15:13). „კალევი" რომ ძლიერი კოლექტივია, ამაში ისიც გვარწმუნებს, რომ მის შემადგენლობაში სამი სპორტის ოსტატი, 8 ოსტატობის კანდიდატი და მხოლოდ ერთი პირველთანრიგოსანი გამოდის. თანაბარი ძალის ფრენბურთელებითაა დაკომპლექტებული გროდნოს „კომუნალნიკი". მათ ერთი პირველთანრიგოსანი ჰყავთ, დანარჩენები სპორტის ოსტატობის კანდიდატები არიან. ამ მხრივ ყველაზე „დაჩაგრულად" ჩვენი გუნდი გამოიყურება — ხუთი პირველთანრიგოსანი და შვიდი ოსტატობის კანდიდატი გვყავს. ამიტომაა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი თამაშებს თითქმის უცვლელი შემადგენლობით რომ ატარებს. ჩვენმა ფრენბურთელებმა დაძაბული ბრძოლა მოუგეს „კალევს" და მეტი მონდომებით რომ ეთამაშათ, ალბათ გროდნოს გუნდსაც დაამარცხებდნენ. ამის თქმის უფლებას ბაქოელებთან შეხვედრა გვაძლევს. მართალია, პირველი ორი პარტია — თბილისელებმა — თითქმის უბრძოლველად დათმეს, სამაგიეროდ, მესამე პარტიაში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს პირველი ლიგის ლიდერს. მონდომებამ შედეგი გამოიღო — საქართველოს ფრენბურთელებმა ეს პარტია მოიგეს — 18:16. მეოთხე პარტიის დასაწყისშიც თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ დაღლილობამ თავისი გაიტანა — ჩვენი გოგონები ხშირად ცდებოდნენ და საბოლოოდ დამარცხდნენ ანგარიშით 1:3. მიუხედავად ამისა, თასის მომდევნო ეტაპზე ასპარეზობის შანსი ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ.

დღეს ჩვენი ფრენბურთელები ტალინელებს ხვდებიან, ბაქოელები კი — გროდნოელ ფრენბურთელებს.

ვაჟა დანელია.

## ორი ტურნირი საფრანგეთში

**სენ-მალოში** დამთავრდა 17 წლის ასაკამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს გდრ-ის ჭაბუკებმა. მესამე ადგილი დაიკავეს ფრანგებმა, რომლებმაც ფრედ ითამაშეს პორტუგალიელებთან — 0:0, მაგრამ უკეთ შეასრულეს დამატებითი პენალტები.

მონტეგიუში, სადაც 16 წლამდე ჭაბუკები თამაშობენ, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიისა და უნგრეთის გუნდები. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა — 1:1, მატჩისშემდგომი პენალტები უფრო ზუსტად გამოიყენეს ბელგიელებმა. მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის ფეხბურთელები, ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა ჩვენმა გუნდმა.

## ტელეტაიპი — მკითხველი

● **ოსტრავა.** ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში ჩატარდა ფრენბურთელ ქალთა ტრადიციული ტურნირი „განთავისუფლების თასზე". საპატიო ჯილდო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა პერუს ნაკრებმა მოიპოვა. მომდევნო ადგილები მთავარ ფინალში ჩეხოსლოვაკიის, კანადისა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებმა დაიკავეს.

● **მაინის ფრანკფურტი.** ველოსიპედისტთა საგზატკეცილო რბოლაში, რომლის ტრასა 167 კილომეტრს შეადგენდა გფრ-ის გუნდის წევრმა მიჰაელ შიონკმა საუკეთესო დრო — 4:13.05 აჩვენა. ლენინგრადელ ალექსანდრე კრასნოვს მესამე ადგილი ხვდა.

● **ლოზანა.** ფრენბურთელთა პოპულარული ტურნირი „გაზაფხულის თასი" გფრ-ის ვაჟთა ნაკრებმა მოიგო. ფინალში მან ესპანეთის გუნდი დაამარცხა — 3:1.

● **პარიზი.** დაძაბულად მიმდინარეობს საფრანგეთში პოპულარული მრავალდღიანი ველორბოლა — „სარტე". მეოთხე ეტაპზე ადგილობრივმა ველოსიპედისტმა კრისტოფ ლავენმა იმარჯვა. 100 კილომეტრი მან 2:26.22-ში გაიარა. მეორე ადგილი ასეთივე შედეგით კიეველ სერგეი ზმიევსკის ხვდა.

● **ლორენსი (აშშ).** შეერთებული შტატების რეკორდი ჭოკით ხტომაში ამერიკელმა ჯო დაიელმა დაამყარა. მან პირველსავე ნახტომით „დაიპყრო" სარეკორდო სიმაღლე — 591 სმ. შემდეგ მან ბედი სცადა 602 სანტიმეტრზე, მაგრამ ცდა უნაყოფო გამოდგა. და მაინც დაიელის შედეგი წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა.



## კარეკა — „ნაპოლიში"?

როგორც ცნობილია, „ნაპოლიმ" გადაწყვიტა მიიწვიოს ბრაზილიის „სან-პაულუს" თავდამსხმელი კარეკა. ამ წინადადებამ ფეხბურთელი ალტაცებაში მოიყვანა. იგი იტალიური ენის შესწავლას შეუდგა და იტალიურ სიმღერებსაც მეტი ხალისით უსმენს. ამასობაში ბრაზილიის კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ კარეკას „შეძენას" აპირებს სხვა იტალიური კლუბიც, რომელიც „ნაპოლიზე" ორჯერ მეტ ფულს ჰპირდება „სან-პაულუს". ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ვინ ეცილება „ნაპოლის".

## კასაგრანდესათვის სეზონი დამთავრებულია

ბრაზილიის ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელ ვალტერ კასაგრანდეს, რომელიც ახლა „პორტოში" თამაშობს, მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. როგორც „პორტოს" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, ბრაზილიელი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

## სკობლარი — ჰამბურგში

ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი იოსიპ სკობლარი, რომელიც აქამდე სპლიტის „ჰაიდუკს" უძღვებოდა, 1987 წლის ზაფხულში „ჰამბურგერ შპორტფერაინს" ჩაუდგება სათავეში. ბუნდესლიგის ამ კლუბთან მან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

მანუელ ამორო:

# „თანამედროვე ფეხბურთელს უნდა შეეძლოს მთელს მინდორზე თამაში"

**ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთ სერიოზულ მეტოქედ კვლავ კონტინენტის ახლანდელი ჩემპიონი — საფრანგეთის გუნდი რჩება. დღეს მის ცნობილ მცველ მანუელ ამოროზე გიამბობთ.**

მანუელ ამორო დაიბადა 1962 წლის 1 თებერვალს, ნიმში. თამაშობდა ამ ქალაქის კლუბის ბავშვთა, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ გუნდებში. ერთხანს „ნიმის" სათადარიგო შემადგენლობაში გამოდიოდა. 15 წლისამ ყველას ყურადღება მიიპყრო და იგი საფრანგეთის პირველი დივიზიონის ცნობილმა კლუბმა „მონაკომ" მიიწვია. „მონაკოში" მისი დებიუტი 1977 წლის გაზაფხულზე შედგა (ამორო დღემდე ამ კლუბის ერთგულია. სხვათა შორის „მონაკოს" დღეს განთქმული რუმინელი მწვრთნელი სტეფან კოვაჩი ხელმძღვანელობს). მას შემდეგ გუნდს დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ ერთხელ საფრანგეთის თასი მაინც დაისაკუთრა. რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, მის შემადგენლობაში ამორომ პირველად 1982 წლის 23 თებერვალს ითამაშა ირლანდიელების წინააღმდეგ. ფრანგი ჟურნალისტები ხუმრობდნენ, ნაკრების მწვრთნელ მიშელ იდალგოს ამოროს მიმართ „ნათესაური გრძნობები" აქვსო (ორივე ესპანური ჩამომავლობისაა), მაგრამ ფეხბურთელმა პირველ მატჩშივე დაამტკიცა ამ ხუმრობის უადგილობა. „სამფეროვანთა" ნაკრებში ყოფნისას ამორომ დიდ წარმატებებს მიაღწია — 1984 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, ორჯერ მსოფლიო პირველობის ფინალში ითამაშა. 1982 წელს გუნდი მეოთხე ადგილზე გავიდა, 1986 წელს — მესამეზე. დღეისათვის ამორო მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს განაპირა მცველად ითვლება, იგი ხშირად შეჰყავთ სხვადასხვა სიმბოლურ ნაკრებში. ამოროს უმაღლესი კლასის მცველის ყველა ღირსება აქვს: ჩინებული ტექნიკა, დიდი ფიზიკური ძალა, იშვიათი სისწრაფე, როცა საჭიროა, თამაშობს დაცვის ორივე ფრთაზე, დროულად შედის ცენტრალურ ზონაში და ეხმარება სტოპერებს. ამავე დროს, ამორო უტევს, როგორც ნამდვილი თავდამსხმელი, იგი შეიძლება მოულოდნელად გამოჩნდეს შეტევის ორივე ფრთაზე!

ჟურნალისტებს არაერთხელ უთქვამთ, რომ, როცა ე. წ. „ტოტალურ ფეხბურთზე" ვლაპარაკობთ, მის ერთ-ერთ ყველაზე ტიპიურ წარმომადგენლად სწორედ ამორო უნდა მივიჩნიოთ. რას ფიქრობს ამის შესახებ თვით ამორო?

— თანამედროვე ფეხბურთელს უნდა შეეძლოს მთელ მინდორზე თამაში (მე, რა თქმა უნდა, მეკარის ადგილი არა მაქვს მხედველობაში). თუ ამის უნარი გაქვს, შეძლებ უფრო აქტიურად ჩაება თამაშში, იმასაც კი მოახერხებ, რომ არასასურველად წარმართულ შეხვედრაში გარდატეხა შეიტანო. მართალია, თამაშის დროს რისკს არ ვერიდები, წინ მივდივარ, მაგრამ არასოდეს მავიწყდება, რომ მცველი ვარ.

ამოროს ხშირად ახსენებენ, რომ 1984 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში, დანიელებთან მატჩში, წინ თამაშობდა და მეტოქეთა მოულოდნელი კონტრშეტევისას უკან დაბრუნება ველარ შეძლო. იმ მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში მან უხეშად დაარღვია წესი — დანიელ ფეხბურთელს თავში გაარტყა, რისთვისაც წითელი ბარათი უჩვენეს.

— ეს იყო სრულიად მოუფიქრებელი საქციელი. დღესაც, როცა მაგონდება, მრცხვენია. სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ დავანებე თავი უხეშად თამაშს, ჭკუა ვისწავლე.

მისთვის სამაგალითო ფეხბურთელად ამორო გფრ-ის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილ მცველ პაულ ბრაიტნერს თვლის. სამაგალითო გუნდად კი, ფრანგი ფეხბურთელი კიევის „დინამოს" აღიარებს.

როგორ აფასებს ამორო ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში შექმნილ სიტუაციას? თუმცა საბჭოთა ნაკრები ჯერჯერობით ლიდერობს, მისი აზრით, ჯერ ყველაფერი გადაწყვეტილი არ არის. ფრანგები ინარჩუნებენ მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობებს, თუმცა კი საამისოდ ძალების უკიდურესი დაძაბვა უხდებათ.

ბიძი თორელი.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

**თბილისის** ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია გაცნობებთ, რომ გასახდელების რეკონსტრუქციის შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა გამაჯანსაღებელი ცურვის ჯგუფებში დამატებით მივიღოთ ვარჯიშის მსურველნი (მეცადინეობის საათები არ შეცვლილა).

მიმართვების გაცემა სამედიცინო დასკვნებისათვის იწარმოებს 24 აპრილიდან. მეცადინეობა დაიწყება 3 მაისიდან. დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 99-80-19 ან 99-82-31.

ჩვენი მისამართია: ლენინის ქუჩა, პირველი შესახვევი № 34. ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი.

**თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი**
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)
**25 აპრილი**
**რაგბი**
**ევროპის ჩემპიონატი**
**საბჭოთა კავშირი — რუმინეთი**
დასაწყისი 16 საათზე.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096.**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06883